



**ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი  
საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც სორციალდება  
ქალაქ ოპოლეს ადმინისტრაციის მიერ**

საქართველო, თბილისი, დეკემბერი 2020


**ბარბარა  
ლეშჩინსკა**




# ქალაქ ოპოლეში დაფიქსირებული ოჯახში ძალადობის შემთხვევები



 მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მეგობრული და კარგი გარემოა, ოპოლეში მაინც ფიქსირდება ოჯახში ძალადობის ფაქტები.

 ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონის თანახმად, ქალაქ ოპოლეს საკრებულოს მიერ 2011 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, **ინტერდისციპლინური გუნდის** შექმნის შესახებ. ამ გუნდის მიზანია ქალაქ ოპოლეში, **ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო გეგმისა და პროგრამის** შედგენა და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის მოტივაციის ამაღლება, მათი კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის მიზნით.

 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კანონის მეექვსე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშავოს **ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო გეგმა, სადაც** აღწერილია ძალადობის სახეები, ძალადობის იდენტიფიცირების გზები და რაც მთავარია, სხვადასხვა სახის აქტივობები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი მის დაქვემდებარებაში მყოფ **სამსახურებთან და ერთეულებთან** ერთად ატარებს ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. გარდა ამისა, მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორც ხდება ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთა მოტივირება **კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის კუთხით.**

# ქალაქ ოპოლეს ტერიტორიაზე ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები



ინტერდისციპლინური გუნდი/სამუშაო ჯგუფები	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
ინტერდისციპლინარული გუნდის სხდომათა რაოდენობა	5	5	5	4	4	5		4
შექმნილი სამუშაო ჯგუფების რაოდენობა	121	144	255	272	155	198	213	212
სამუშაო ჯგუფების სხდომათა რაოდენობა	460	861	810	1438	1042	936	989	824
იმ პირების რაოდენობა, რომლებსაც სამუშაო ჯგუფები დაეხმარნენ	291	453	706	876	944	988	946	1078
იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც სამუშაო ჯგუფები დაეხმარნენ	129	189	255	365	310	333	327	397

# ე.ნ. ცისფერი ბარათის პროცედურა



ცისფერი ბარათი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
ე.ნ. ცისფერი ბარათის დაწყებული პროცედურების რაოდენობა– ჯამში	133	176	326	383	211	254	287	272
<b>1. წარმომადგენელი ორგანიზაციები:</b>								
სოციალური დახმარების ერთეულები	51	49	63	70	54	53	50	45
პოლიცია	74	108	240	302	142	179	227	215
ალკოჰოლური პრობლემების მოგვარების საქალაქო კომისია	3	10	9	3	3	9	0	3
განათლება	4	8	9	6	10	10	6	7
ჯანდაცვის სისტემა	1	1	3	2	2	3	3	2
<b>2. ბენეფიციარები:</b>								
ქალი	112	134	223	280	161	211	233	228
კაცი	13	22	27	55	29	21	37	30
ბავშვი	8	20	29	48	21	22	17	14

# კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძველი



- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, აუცილებელია მოძალადეებისთვის ე.წ. კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების გატარება.
- ამავე საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშავოს და განახორციელოს დეტალური სამოქმედო გეგმა და განეროს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები.

# პროგრამის მიზანი



- თითოეული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი მიზანია, მოძალადის ქცევის ცვლილების ხელშეწყობა, რათა მოძალადემ გააცნობიეროს, რომ ძალადობრივი ქცევით ვნებს ახლობელ ადამიანს და გადაეჩვიოს ამგვარ ქცევას.



# კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის არსი



- პროგრამის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახში ძალადობრივი ქცევა შეძენილია და გადადის თაობიდან თაობაზე. შესაძლებელია ძალადობრივი ქცევის კორექტირება და ისეთი მიდგომის გამოყენება, სადაც შემეცნებით-ქცევით მეთოდებთან ერთად, კომბინირებულია, ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო აქტივობები. ასეთი ინტერვენცია ეფუძნება პრინციპს, რომ მოძალადემ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ძალადობრივ მოქმედებაზე, გააცნობიეროს, რომ ამით ვნებს ახლობელ ადამიანს და გადაეჩვიოს მსგავს ქცევას.
- ხსენებული კანონის საფუძველზე, შემუშავებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის, მეორე დანართში მოცემულია **კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ინსტრუქცია.**

# პროგრამის ბენეფიციარები



- კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის - მათ შორის იმ პირებისთვისაც, რომლებსაც უკვე მიესაჯათ სასჯელი, ისინი ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტში. პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ იმ პირებსაც, რომლებიც ნებაყოფლობით დააფიქსირებენ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.
- პოლონეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მე-5 მუხლში გამოყოფილია აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარების სამი მთავარი ჯგუფი:
  1. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები, რომლებსაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც სასჯელს საპატიმრო დაწესებულებებში იხდიან, ან დამნაშავეები, რომლებსაც პირობითი სასჯელი მიესაჯათ და სასამართლოს გადანყვეტილებით, ვალდებულები არიან კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღონ;
  2. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები, რომლებიც უკვე მკურნალობენ ალკოჰოლდამოკიდებულებას, ნარკოდამოკიდებულებას, ან ფსიქოტროპულ სუბსტანციებზე დამოკიდებულებას - ამ შემთხვევაში, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა გამოიყენება საბაზო თერაპიის თანდართვით;
  3. ბოლო ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ნებაყოფლობით ღებულობენ მონაწილეობას ზემოხსენებულ პროგრამაში.
- სამკურნალო და ქცევითი ცვლილებების პროგრამა განკუთვნილია, როგორც საპატიმრო დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთათვის, პრობაციონერთათვის, ასევე იმ დამნაშავეთათვის, რომელთაც შეეფარდათ პირობითი სასჯელი.



# დაფინანსების წყაროები



- კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის პროგრამის განმახორციელებელი, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, პროექტის განხორციელება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- ყოველწლიურად, იანვარში, ოპოლეს რეგიონალურ ოფისში, შემაქვს განცხადება, რათა მივიღო გარკვეული დაფინანსება კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.
- აუცილებელია, რომ განაცხადი ხელმოწერილი იყოს ქალაქ ოპოლეს მერის მიერ.



# განაცხადის ნიმუში



ოპოლე, 22.01.2020



განცხადება

.....

(თვითმმართველობის ბეჭედი)  
(ქალაქი და თარიღი)




**I.** დავალების შემსრულებელი ორგანიზაციის სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია  
ქალაქ ოპოლეში მდებარე ოჯახის დახმარების ცენტრი, მისამართი: 45-071 ოპოლე, არმია  
კრაიოვას ქუჩა 36,  
ტელ. 77/4005950, ფაქსი: 77/4005952



**II.** დავალების განხორციელების ადგილი  
1. ქალაქ ოპოლეში მდებარე ოჯახის დახმარების ცენტრი,  
2. ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულება და ტურავის ქალთა საპატიმრო.

# განაცხადის ნიმუში



-  III. მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრა კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამიდან გამომდინარე
- საჭიროებები განისაზღვრა შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:
- ქალაქ ოპოლეში მცხოვრები ოჯახებისთვის ე.წ. ცისფერი ბარათის პროცედურების რაოდენობა;
  - ე.წ. ცისფერი ბარათის პროცედურაში მყოფი მონაწილეების კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის სურვილი;
  - ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირების რაოდენობა, რომლებიც სასჯელს იხდიან ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი, აგრესიის და ძალადობის გამოვლინება);
  - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამის რეალიზებაში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
  - ბოლო წლების განმავლობაში კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობის ანალიზი (სტატისტიკური მონაცემების მიხედვით).

# განაცხადის ნიმუში



**IV.** მოსალოდნელი შედეგების აღწერა და განხორციელებული პროგრამის შეფასების შესაძლებლობები:

კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების


მოსალოდნელი შედეგები:


-ოჯახში ძალადობის ფაქტების შემცირება,;

-ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ქცევის ცვლილება;

პროგრამის მონაწილეები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას ძალადობისა და აგრესიის შედეგებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გაეცნობიან ბრაზისა და აგრესიის მართვის ახალ მეთოდებს.

პროგრამის შედეგები შეფასდება ორი ანკეტის მეშვეობით, რომლის შევსებაც სავალდებულო იქნება პროგრამის დაწყებამდე და კურსის დასრულების შემდეგ (როგორც ეს პოლონეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის ბრძანებაშია აღნიშნული).

-  V. კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პროფესიული კვალიფიკაცია:  
ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის ჩასატარებელი კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პროფესიულ კვალიფიკაციას და მომსახურების სტანდარტებს განსაზღვრავს პოლონეთის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 22 თებევრლის ბრძანება ( პოლონეთის საკანონმდებლო მაცნე 50 ნომერი 259).

-  **VI.** განხორციელებული პროგრამების რაოდენობა - მათი ხანგრძლივობა/საათების რაოდენობა და მონაწილეთა რიცხვი:
1. ჯგუფი I: 2020 წლის მარტი-ივნისი - ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულება(მამაკაცები)
    - a) საათების რაოდენობა: 60 საათი
    - b) მონაწილეთა რაოდენობა: 12 ადამიანი
  2. ჯგუფი II: 2020 წლის მარტი-ივნისი - ტურავას ქალთა საპატიმრო (ქალბატონები)
    - a) საათების რაოდენობა: 60 საათი
    - b) მონაწილეთა რაოდენობა: 12 ადამიანი
  3. ჯგუფი III: 2020 წლის მარტი-ივნისი - ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულება (დუღუსის მოდელი)
    - a) საათების რაოდენობა: 60 საათი
    - b) მონაწილეთა რაოდენობა: 12 ადამიანი
  4. ჯგუფი IV: 2020 წლის აპრილი-ივნისი - ქალაქ ოპოლეს

# CD



 ოჯახის დახმარების ცენტრი (მამაკაცები)

- a) საათების რაოდენობა: 60 საათი
- b) მონაწილეთა რაოდენობა: 8 ადამიანი

**5.** ჯგუფი V: 2020 წლის სექტემბერი-ნოემბერი - ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქალბატონები და მამაკაცები)

- a) საათების რაოდენობა: 60 საათი
- b) მონაწილეთა რაოდენობა: 12 ადამიანი

**6.** ჯგუფი VI: 2020 წლის სექტემბერი-ნოემბერი: ქალაქ ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრი (მამაკაცები)

- a) საათების რაოდენობა: 60 საათი
- b) მონაწილეთა რაოდენობა: 8 ადამიანი

**7.** ჯგუფი VII: 2020 წლის ოქტომბერი-ნოემბერი ქალაქ ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრი (ქალბატონები)

- a) საათების რაოდენობა: 60 საათი
- b) მონაწილეთა რაოდენობა: 8 ადამიანი

# განაცხადის ნიმუში



**VII.** ინდივიდუალურად პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა - საათების რაოდენობა, მონაწილეთა რაოდენობა: არ ვგეგმავთ

**VIII.** პროექტის განხორციელების ღირებულება: ჟამში: 53 100 პოლონური ზლოტი

თითოეული ნაწილის განხორციელების ღირებულება:

ჯგუფი I: 8 850 პოლონური ზლოტი

(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 12 ადამიანი x 737,50 პოლონური ზლოტი;

ჯგუფი II: 8 850 პოლონური ზლოტი

(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 12 ადამიანი x 737,50 პოლონური ზლოტი;

ჯგუფი III : 8 850 პოლონური ზლოტი

(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 12 ადამიანი x 737,50 პოლონური ზლოტი;



# განაცხადის ნიმუში



- ჭკუფი IV : 5 900 პოლონური ზლოტი  
(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 8 ადამიანი x  
737,50 პოლონური ზლოტი;
- ჭკუფი V: 8 850 პოლონური ზლოტი  
(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 12 ადამიანი x  
737,50 პოლონური ზლოტი;
- ჭკუფი VI: 5 900 პოლონური ზლოტი  
(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 8 ადამიანი x  
737,50 პოლონური ზლოტი;
- ჭკუფი VII: 5 900 პოლონური ზლოტი  
(მონაწილეთა რაოდენობა X; დაფინანსება 1 ადამიანზე) 8 ადამიანი x  
737,50 პოლონური ზლოტი;

# განაცხადის ნიმუში



## IX. დეტალური ხარჯთაღრიცხვა

1. სპეციალისტების ანაზღაურება: ( 4 ადამიანი) = 50 400 პოლონური ზლოტი  
1 სთ ღირებულება = 120 ზლოტი, 7 ჯგუფი x 60 სთ x 120 ზლოტი = 50 400  
პოლონური ზლოტი

პროგრამის თანაწამყვანი: 2 ადამიანი x 60 ზლოტი = 120 პოლონური  
ზლოტი

2. საკანცელარიო ხარჯები: 72 ადამიანი x 10 ზლოტი = 720 პოლონური  
ზლოტი

3. საკვები ხარჯები: 72 ადამიანი x 10 ზლოტი = 720 პოლონური ზლოტი

4. სუპერვაიზინგი: 6 საათი x 210 ზლოტი = 1260 პოლონური ზლოტი

ჯამური ღირებულება: : 50 400 ზლოტი + 720 ზლოტი + 720 ზლოტი + 1200  
ზლოტი = 53 100 პოლონური ზლოტი

ღირებულება 1 ადამიანზე/მონაწილეზე : 53100 ზლოტი : 72 ადამიანი =  
737,50 პოლონური ზლოტი

# განაცხადის ნიმუში



 **X.** განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია

**Barbara Leszczyńska / ბარბარა ლეშჩინსკა**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზირებული ცენტრის დირექტორი, ინტერდისციპლინური გუნდის ხელმძღვანელი

**tel.:** 77/4556390, შიდა: 3

**e-mail:** b.leszczynska@ mopr.opole.pl

# განაცხადის ნიმუში



**XI.** განმცხადებლის ხელმოწერა და განაცხადის შევსების თარიღი

.....  
თარიღი და ხელმოწერა: ქალაქის მერი

**XI.** დანართები

**1.** ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მუნიციპალური პროგრამა.

**2.** საავტორო მაკორექტირებელი და საგანმანათლებლო პროგრამა ძალადობის ჩამდენი პირებისთვის დუღუთისა და (SFBT) მოდელის მიხედვით.

**3.** ოჯახში ძალადობის მაკორექტირებელი და საგანმანათლებლო ზემოქმედების საავტორო პროგრამა "პარტნიორის", "ART" და "ოჯახის" პროგრამების ტექნიკის მიხედვით.

ადამიანებისთვის, რომლებიც არიან მოძალადეები და ვერ უმკლავდებიან რისხვასა და აგრესიას.

# კსკ-ს ოპოლეში-განხორციელება



## კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ქალაქ ოპოლეში

- 2007 წლიდან ქალაქ ოპოლეში სისტემატიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა.
- ნებაყოფლობით** პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, კურსი ტარდება ოპოლეში არსებულ ოჯახთან მუშაობის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.
- რაც შეეხება პროგრამაში **სავალდებულო** მონაწილეობას, კურსი ტარდება საპატიმრო დაწესებულებებში.

# კსკ-ს ოპოლემი-განხორციელება



- 2008-2014 წლებში საკორექციო პროგრამა ხორციელდებოდა ოპოლეს (ნახევრად ღია) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და ქალთა და მამაკაცთა საპატიმროებში. 2015 წლიდან, კი პროგრამა ხორციელდება ქალაქ ტურავაში არსებულ ქალთა საპატიმროშიც.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი, აღნიშნულ კურსზე სავალდებულო წესით უნდა გააგზავნოს ოპოლეს რაიონულმა ან რეგიონში არსებულმა რაიონულმა სასამართლოებმა, პოლიციამ, ოპოლეს ინტერდისციპლინურმა გუნდმა, ან ნებაყოფლობით, როდესაც პიროვნება თავისი სურვილით გამოხატავს დაინტერესებას ამ პროგრამით. ეს არის თეორია, რეალობა კი სულ სხვა შედეგს გვაძლევს....

# კსკ-ს ოპოლეში-განხორციელება



- ოპოლეში აგრეთვე ხორციელდება კორექციულ-საგანმანათლებლო საავტორო პროგრამებიც, რომლებიც შემუშავებულია ოჯახის დახმარების ცენტრის ფსიქოლოგებისა და თერაპევტების მიერ.
- 1. საავტორო მაკორექტირებელი და საგანმანათლებლო პროგრამა ძალადობის ჩამდენი პირებისთვის, დულუთისა და (SFBT) მოდელის მიხედვით;
- 2. ოჯახში ძალადობის მაკორექტირებელი და საგანმანათლებლო ზემოქმედების ორიგინალური პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია "პარტნიორის", "ART" და "ოჯახის" პროგრამების ტექნიკაზე.
- ადამიანებისთვის, რომლებიც არიან მოძალადეები და ვერ უმკლავდებიან რისხვასა და აგრესიას.

# კსკ-ს ოპოლეში-განხორციელება



- თავდაპირველად, 2007 წლიდან 2012 წლამდე, აღნიშნული პროგრამის განხორციელებლები იყვნენ ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი ფსიქოლოგები.
- 2012 წლიდან, კი ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები გადამზადდნენ - მათ წარმატებით გაიარეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეკომენდებული კურსები - ART, პარტნიორი, ოჯახი, დულუსის პროგრამა და გამოსავალზე ორიენტირებულ ხანმოკლე თერაპია (SFBT). ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები, ზემოხსენებულ პროგრამებზე დაყრდნობით, ემნიან და ახორციელებენ საკუთარ პროგრამებს.
- აღნიშნული პროგრამების განხორციელებლები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან, მსხვერპლთან და მოწმებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.



# კანდიდატების შერჩევა და პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დამნაშავეთათვის მოტივაციის გაზრდა



- სასამართლოს გადანყვეტილებით (**ძალზედ იშვიათად**), ძალიან ცოტა დამნაშავე ექვემდებარება სავალდებულო კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვას. ძირითადად, პოლიციის თანამშრომლები, ე.წ. **ცისფერი ბარათის** პროცედურის გაფორმებისას, ამისამართებენ ოჯახში მოძალადე პირებს მსგავს პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
- აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად სწორედ **სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები** ღებულობენ გადანყვეტილებას, ამა თუ იმ დამნაშავის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ეს ეხება ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის **სოციალურ მუშაკებს**, რომლებიც კოორდინირებას უწევენ სამუშაო ჯგუფების მუშაობას.

# კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების, ქალთა და მამაკაცთა, სასჯელაღსრულების დანახულებებში განხორციელება



- ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან, რომლის ფარგლებშიც ცენტრის თანამშრომლები ოპოლეს საპატიმრო დაწესებულებასა და ტურავის ქალთა საპატიმროში ახორციელებენ კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებს.
- ოპოლეს საპატიმრო დაწესებულების პენიტენციალურ განყოფილებასთან თანამშრომლობის შედეგად, მოხდა პოტენციური კანდიდატებისთვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, სამოტივაციო სისტემის შემუშავება. სწორედ აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად შესაძლებელი ხდება რამდენიმე მსგავსი პროგრამის განხორციელება.

# კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების, ქალთა და მამაკაცთა, სასჯელაღსრულების დანესებულებაში განხორციელება



- პირველ ეტაპზე, კანდიდატების შერჩევას ახდენენ ფსიქოლოგები და საპატიმრო დანესებულების თანამშრომლები. შემდგომ ეტაპზე მიმდინარეობს ამ პროცესში კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებელთა ჩართვა, კერძოდ, ისინი იმ მსჯავრდებულებთან, რომლებიც პოლონეთის სისხლის სამართლის 207-ე, 197-ე, 203-ე და 157-ე მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელს იხდიან, მართავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც ხდება შესაბამისი კანდიდატების შერჩევა.

# ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულება



# ოპოლუმი, ტურავაში არსებული ქალთა სასჯელადსრულების დაწესებულება



# გამონაკლისი შემთხვევები



- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი, რომელიც არის **ალკოჰოლდამოკიდებული, ნარკოდამოკიდებული, ან ფსიქოტროპულ სუბსტანციებზე დამოკიდებული**, პირველ რიგში იგზავნება სარეაბილიტაციო ცენტრში, სამკურნალოდ.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები **არ ტარდება იგივე ადგილას, სადაც შესაბამისი სამსახურები ეხმარებიან ძალადობის მსხვერპლ პირებს**. ასეთი სახის პროგრამები ტარდება ოჯახის დახმარების ცენტრის საორგანიზაციო ერთეულებში. მაგალითად, კრიზისული ინტერვენციის ცენტრებში, სოციალური რეადაპტირების ცენტრებში, დღის ცენტრების ტერიტორიაზე, რაც უბრალოდ ხაზს უსვამს თანხის დაზოგვაზე ორიენტირებულ მიდგომას (აღარ გვინწევს სპეციალური სივრცის იჯარით აღება).

# ოპოლეში, ტურავაში არსებული ქალთა სასჯელადსრულების დაწესებულება




- ოპოლეში, ჯგუფური სახის შეხვედრები კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ტარდება ოჯახის დახმარების ცენტრის საორგანიზაციო ერთეულებში. მაგალითად, კრიზისული ინტერვენციისა და სოციალური რეადაპტირების ცენტრებში.
- პროგრამების რეალიზატორებითვის და ბენეფიციარებისთვის, ქალაქ ოპოლეში ბევრი შესაძლებლობა არსებობს, რომლის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ბენეფიციარების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ ცენტრის აქტივობების უკეთესი ორგანიზებისთვისაც.



# რატომაა კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე მოქალაქეთა რიცხვი ასე მცირე?



-  ლოგიკური იქნებოდა, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობა ე.წ. ცისფერი ბარათების რიცხვს რომ უდრიდეს. სამწუხაროდ, სამართლებრივი ინსტრუმენტების არარსებობის გამო, შეუძლებელია მოძალადის „დავალდებულება“ თავისი ქცევის ცვლილებაზე იმუშავოს. შესაბამისად, ძალიან ცოტა მოძალადე ღებულობს მონაწილეობას აღნიშნულ პროგრამებში. სასამართლო კი, მიუხედავად კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე დამნაშავის გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმის არსებობისა, რომელსაც პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი წარმოადგენს, ხშირ შემთხვევაში მოძალადეებს უნიშნავენ პოლიციის ზედამხედველობას, ან საზოგადოებრივ სამუშაოებს.
-  ის შთამბეჭდავი შედეგი, რომელიც გვაქვს, ინტერდისციპლინური გუნდის, სამუშაო ჯგუფების, სოციალური მუშაკებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრების სპეციალისტების ჩართულობისა და ერთიანი ძალისხმევის შედეგია.



# ციხფერი ბარათი და კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები - სტატისტიკური მონაცემები



წელი	ე.წ. ციხფერი ბარათების რიცხვი	პროგრამებში მონაწილე პირთა რაოდენობა	პროგრამის რეალიზების ფორმა - მონაწილეთა სქესი და პროგრამის განხორციელებისადგილი	შენიშვნები
2012	133	72	მამაკაცი-52, ქალი-1, ბავშვი-19; ჯგუფურად: მამაკაცი-37, ქალი-0, ბავშვი-15, - სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დაწყებით სკოლებში, ქ. ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრში <b>ინდივიდუალურად:</b> მამაკაცი-15, ქალი-1, ბავშვი 4	კურსი ტარდებოდა ქალაქ ოპოლესში არსებულ დაწყებით სკოლებში და ქალაქ ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრში
2013	176	77	მამაკაცი,-62, ქალი-8 , ბავშვი-7. ჯგუფურად-30 საპატიმრო დაწესებულებებში <b>ინდივიდუალურად:</b> მამაკაცი- 32, ქალი 8, ბავშვი 7	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში
2014	326	119	მამაკაცი,-107, ქალი-7, ბავშვი-5. ჯგუფურად: მამაკაცი: 63 <b>ინდივიდუალურად:</b> მამაკაცი- 44, ქალი-5, ბავშვი 7	ინდივიდუალურად ქალაქ ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრში
2015	383	151	მამაკაცი-117, ქალი-28 , ბავშვი-6, ჯგუფურად: 77 მამაკაცი, აქედან:73 w საპატიმროში 4 თავისუფლებაზე,19 ქალი ტურავას საპატიმროში <b>ინდივიდუალურად:</b> 40 მამაკაცი,9 ქალი, 6 ბავშვი	2015 წლიდან ტურავას ქალთა საპატიმროში
2016	211	142	84 მამაკაცი , 58 ქალი, ჯგუფურად: 54 ქალი, 53 მამაკაცი ოპოლეს/ტურავას საპატიმროში <b>ინდივიდუალურად:</b> 4 ქალი, 31 მამაკაცი	2016 წელს განხორციელებული კონტროლის შემდეგ, ბავშვებისთვის აღარ ხორციელდება აღნიშნული პროგრამები

# ციხფერი ბარათი და კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები - სტატისტიკური მონაცემები



წელი	ე.წ. ციხფერი ბარათების რიცხვი	პროგრამებში მონაწილე პირთა რაოდენობა	პროგრამის რეალიზების ფორმა - მონაწილეთა სქესი და პროგრამის განხორციელებისადგილი	შენიშვნები
2017	254	56	44 მამაკაცი , 12 ქალი 3 პროგრამა საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის 1 ჯგუფი პირობითი სასჯელით	მხოლოდ ჯგუფური ხასიათის
2018	287	84	60 მამაკაცი, 24 ქალი 2 ჯგუფი პირობითი სასჯელით, 5 ჯგუფი საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის	მხოლოდ ჯგუფური ხასიათის
2019	272	69	48 მამაკაცი, 12 ქალი 2 ჯგუფი პირობითი სასჯელით, 3 ჯგუფი საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის	მხოლოდ ჯგუფური ხასიათის
2020	172	72	52 მამაკაცი ,20 ქალი 6 ჯგუფი საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის 1 ჯგუფი პირობითი სასჯელით	კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელება გართულებულია

# მონიტორინგი



- კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა გახლავთ ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის თერაპიის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, რომელიც მოიცავს დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა აქტივობებსა და ელემენტებს, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ითვალისწინებს მისი ეფექტურობის შეფასებას 3 წლის განმავლობაში პროგრამის „კურსდამთავრებულის“ ქცევაზე დაკვირვების გზით.
- ამ პროგრამების მიმდინარეობა და ეფექტურობა ფასდება სხვადასხვა შეფასებითი კვლევებით, რომლის შედეგებიც გამოიყენება შემდგომში ზემოხსენებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით..

# მონიტორინგი



- მსჯავრდებულების მიერ პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგი რეალურ დროში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები მიმართავენ თხოვნით პენიტენციურ სისტემას, უშუამდგომლონ მსჯავრდებულებთან, რათა მათ პროგრამის დასრულებიდან 1, 2 ან 3 წელიწადში შეავსონ შეფასების ანკეტა.
- უფრო რთულია მსჯავრდებულის მონიტორინგი სასჯელის მოხდის შემდეგ, რადგან მათი საცხოვრებელი ადგილი ძალიან ხშირად ოპოლესგან მოშორებით მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. სასამართლო კურატორის ზედამხედველობას.

# ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამები - ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის



- ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამები, ხორციელდება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის 2014-2020 თანახმად, რომელიც დამტკიცებულია 2014 წლის 29 აპრილს პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ (ნომერი 445, საკანონმდებლო მაცნე 2014) .
- ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამა (PPT) ეფუძნება კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილებას და ასეთი პროგრამების ბენეფიციარების საჭიროებებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ თერაპიის გაგრძელებას.

# ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამები - ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის



- ფსიქოლოგიურ-თერაპიული სამუშაო გახლავთ მოძალადის ქცევის გამოსწორებაზე ორიენტირებული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის გაგრძელება. ძალიან ხშირად, ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამა ეფუძნება დამნაშავის ქცევაში არსებული დეფიციტის ფსიქოლოგიურ მიზეზებზე მუშაობას. ასეთი სახის პროგრამები ოპოლემში ხორციელდება 2018 წლიდან.

# ოჯახში ძალადობის ჩამდენი იმ პირებისათვის ჩატარებული გაძლიერებული ფსიქო-თერაპიული კურსი, რომლებმაც უკვე დაასრულეს კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა



წელი	დამნაშავეთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს კურსი	ე.წ. ცისფერი ბარათების რიცხვი	პროგრამის განხორციელების ადგილი
2018	ჯამში 24 ადამიანი	8 ქალი 16 კაცი	ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრი და ტურავის ქალთა საპატიმრო
2019	ჯამში 30 ადამიანი	10 ქალი 20 კაცი	ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრი და ტურავის ქალთა საპატიმრო
2020	ჯამში 40 ადამიანი	20 ქალი 20 კაცი	ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრი და ტურავის ქალთა საპატიმრო

# ღირს, თუ არა...??



2019 წელს ფსიქოლოგიური თერაპიული პროგრამა დაასრულა 8 კაციანმა ჯგუფმა (თავისუფლებაზე მყოფმა), რომლებმაც გამოხატეს სურვილი შემდგომი, კიდევ უფრო ღრმა თერაპიული მუშაობის საჭიროებაზე და აჩვენეს პოზიტიური მოტივაცია ოჯახური ურთიერთობების გამოსწორებაზე /განვითარებაზე. მამაკაცები ამჟამად ჯგუფურად ხვდებიან თავიანთ თერაპევტს. **ეს ადამიანები ჯგუფური მეცადინეობების ფარგლებში, პერიოდულად ხვდებიან თერაპევტს.**

**და შემდგომ...?**

ჩვენთვის, როგორც პროგრამების განმახორციელებთათვის, ეს დადებითი უკუკავშირია, ხოლო საზოგადოებისთვის იმედი, რომ სწორად ჩატარებული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო შემდგომში ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროექტები გამოიწვევს მოძალადის ქცევის ცვლილებას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირისა და ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხს.



# სანდახან უბრალოდ უნდა გააღვიძო შენში ვეფხვი...

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის!

**ბარბარა ლეუჩინსკა**



ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზირებული ცენტრის დირექტორი.

ინტერდისციპლინური გუნდის ხელმძღვანელი.

ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის, ოპოლემში განხორციელებული კორექციულ-საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამების კოორდინატორი.